**№ 115**

ხუთშაბათი 3 ივნისი, 1899 წ.

1877—1899 წელიწ.

# ივერია

**№ 115**

ხუთშაბათი 3 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



გაზეთი „,ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—1)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ.

აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განთვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—1)

რადგანაც 29 მაისს დანიშნული

## საზოგადო კრება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ. განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(5—უ.—2)

## ტფილისის ვაჭართა სტაროსტა და იმის ამხანაგები

სთხოვენ ტფილისის 1 და 2 გილდიის ვაჭრებს მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ (ეს კრება 23 მაისს არ შემდგარ კრების ნაცვლად არის) კვირას, 6 ივნისს, დილის $11^1/_2$ საათზედ, ტფილისის საკრებულოს დარბაზში (ზამთრის სადგომში) ტფილისის საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველოს საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა ამოსარჩევად. (1—76—1)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. ზროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი** $6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)


## ახალი ამბავი

*** დღეს, 3 ივნისს, მამა-დავითის ეკკლესიის დღეობაა (მთაწმინდობა). მწირველი ამ დღეს მამა-დავითის ეკკლესიაში მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ბრძანდება, ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზედ.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას საჩქაროდ წარმომიდგინეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რა წესით ჰხდებათ სახლის პატრონთ ქალაქის სასარგებლოდ ფული წყლის არხების გაყვანის დროსაო.

*** დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში მოხდება ახლად დასაარსებელის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის კრება.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს შემატყობინეთ: 1) რა საშვალებით უნდა იქმნას შენახული პუშკინის სახელობაზედ დაარსებული ორი სასწავლებელი და წიგნთ-საცავ-სამკითხველო და 2) ქალაქის რომელს ნაწილებში რომელი ქუჩები იქმნა შეკეთებული და ან რამდენი ფული დასჭირდა ამ საქმესაო.

*** ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, მე-VI ნაწილის ბოქაულის თანაშემწე გარგაევსკი გაგზავნილ იქმნა ს. კოჯორში ბოქაულის თანამდებობის ასასრულებლად საზაფხულოდ. მასთან ერთად გაგზავნილ იქმნა ხუთი პოლიციელიც.

*** ამ დღეებში დამთავრდა ეგზამენები ტფილისის რკინის გზის სასწავლებელში. სულ სწავლა დაასრულა 19 ყმაწვილმა.

*** არ იქმნა არა ეშველა-რა ყასბების თავ-გასულობას: ხორცს ნიხრის მიხედვით არა ჰყიდიან და გირვანქა ძროხის ხორცში 10 კაპ., ხოლო გირვანქა ცხვრის ხორცში 12 კაპ. ახდევინებენ მყიდველს.

*** გუშინ მოხსენებული გვქონდა, რომ საკაიანცის საკანდიტეროში მომზადებულ ცივ-ტკბილით 15 კაცი მოიწამლა. ახლა ამის გამო

## ფელეტონი

### „უნდა მოვახსენო რამე“...

(სურათი სოფლის ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

### VI

მარტის პირველი რიცხვებია, მაგრამ მშვენიერმა, თბილმა ამინდებმა ხეხილი ადრე გამოიტყუა. აყვავდა ატამი, ნუში, ჭერამი, გადაიშალა, ყვითლად გადაიპენტა შვინდი, ხომარდულის ვაშლის ყვავილი თეთრწითლად გამოჰღუის, თვალ-საამური ღაღანი გააქვს. ის ხო ჯაგის ძირებში თამამად ყელი მოუღერებია და კეკლუცად არხევს თავისს ნაზ, სათუთ საროს ტანს და ჰაერში აბნევს სუნად სურნელოვანს საყნოსველს—ეს კეთილ-შეზავებული სამყარო ჰხიბლავს, ჰბნედავს ადამიანს, რომელიც ესწრაფის დასტკბეს ამ ნაადრევის გაზაფხულის მორჭმულობა-სინარნარით. მზეც მოკამკამებულ ცის გუმბათიდგან ხარბად უგზავნის დედამიწას თავისს თბილ, ცხოველ-მყოფელს სხივებს. დილაა, მაგრამ მზე საგრძნობლად იბინება. ხალხს უნათებ ლივ სასოფლო კანცელარიასთან თავი მოუყრია, ზღვასავით მღელვარებს, ერთი ჩოჩქოლი, ყაყანი გააქვს.

დღეს მამასახლისის არჩევანია დანიშნული. ტატოც ალიაქოთში, ფუსფუსშია. ჩაფარი სამსონი და მწერალიც მოსულან, კანცელარიის წინ მაგიდა დაუდგამთ და ყრილობაზე დამსწრეთა სიებს ამზადებენ. საჭირო უფროსის მოსვლამდის ყველაფერი მზად ჰქონდეთ, დაფიცებისა და ამორჩევის მეტი არა უნდოდეს რა.

ტატოს ყოველგან საქმე გაკეთებული აქვს, იცის მომეტებულნი ამასვე ინდომებენ, მაგრამ „რა ვიცი, კაცნი ვართ, უფროსმა რომ ისაკის სიტყვებს ყურადღება მიაქციოს?“... ამის გახსენებაზედ ტატოს ცივს ოფლს ასხამს, სახეზედ ყვითელი ალმური ასდის, ტუჩები უკრთის, მუხლები ეკვეცება, მაგრამ ტყუილად ეპარება გულში შიში.

— „სამსონი აქ არა მყავს!.. ამას გარეითად დღეს სისხამ დილით არ იყო სერგომ ხუთი თუნგი სპირტიანი არაყი ჩაასხა ამვლელ-ჩამვლელს უფასოდ, ოღონდ ისევ ტატო ამოირჩიეთო. წუხელის რომ მალხაზის მარანი ღია ყოფილა ყველასათვის, ერთ საპნიან ქვევრისათვის ყელი მოეღერებინა და ვისაც რამდენი შეეძლო, სვამდა. ზოგიერთს ისე დაეჭარბებინა ღვინო, ინთილაეკრა, რომ ქვევრის პირზედვე წაქცეულიყო, ზოგნი გზაზედ დაყრილიყვნენ ჰყიმყინტორასავით გაკაჭულნი. შავარდენაანთ ადამოს სახლამდის ველარ მიეღწივნა, თავიანთს ორღობეში დასძინებოდა. ყისმათზე ყველიანთ სტეფანეს ჩაევლო, თორემ იმ ღამეს კაცი გაფიჩხდებოდა. გონში რომ ჩეეგდო და ეეყენა, თურმე შინამდის სულ იმას გაიძახოდა „ტატო მინდა, ტატოო“. ჩაჩხირაანთ იოსებსაც კარგი ოინი ექნა. წყალზე მიმავლებულიყო კოკით, დაენახა მალხაზის მარანში ქვევრი პირ-ღია დაგდებული, ჩაეყო ქვევრში კოკა და წყლის მაგიერ ღვინო წაეღო შინ, თითონაც ერთი გულიანა ესუნთქებინა ქვევრის პირზე... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისევ სამსონი თუ...“

ჩაფარი სამსონი ტანწვრილი, მაღალ-მაღალი, ლამაზის შეხედულობის, წარმოსადეგი ვაჟ-კაცია—თავის სიმარდითა და ხერხიანობით უფროსების ყურადღება ჰქონდა დამსახურებული, სამსახურში წინ წაწევას იყვნენ დაპირებულნი, ამისათვის სამსონიც ყოველს საქმეში იმათი ერთგული, საიდუმლოების შემნახველი იყო. მძიმე საქმეებში ყოველთვის სამსონისათვის უნდა მიემართნათ, ის უნდა დაესაქმებინათ. სამსონი ტატოს მეგობარიც იყო, ტატოს პურმარილით ყიჰაჰკამდის მოყრილი. ტატოს გულისათვის სამსონი ცეცხლში-კი არ ჩადგებოდა?!.

— სამსონ, მაშ იმედია, დღეს გავიმარჯვებ?.. შეეკითხა ხელ-მეორედ ფერწასული ტატო. რახან კარლ ედუარდიჩიც ჩემსკენა ყოფილა, ღმერთი თუ მწყალობს, ეშმაკები რას დამაკლებენ, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ისაკოს ლაპარაკის ნება არ უნდა მისცე..

— აკი გითხარ, ისე მაქვს მოხერხებული, რომ შენი დუშმანი ისაკო როგორმე უნდა ავიყოლიო, ერთი პატარა მიზეზი-კი მომცეს და მერე მე ვიცი.. ყბებს სისხლით აუვსებ, ზურგზე ბოლს ავადენ მათრახით.

— დანარჩენი მყვირალები-ღა?..

— გზირმა წინათვე ხალხში დამატაროს და თვალით მანიშნოს ისინი. ხალხს, რომ დავამწკრივებ, უკანა წრეებში ისე ავრიო, რომ ბევრიც იყვირონ, ველარაფერს გახდნენ. წინა რიგზე-კი შენი მეგობრები უნდა დადგნენ. რა წამს სამამასახლისო პირის დასახელება უბრძანონ, პირველად შენი სახელი დაიძახონ. მერე ადვილია. ეტყვიან „დასხედით!.. ვისაც ტატო ჰსურს მამასახლისად წამოდექით.. წამოდექით!..“ წინა ხალხი თუ ადგება, მერე დანარჩენნიც ცხვრებივით წამოიშლებიან. აბა გზირიც გამომყვეს...

— პეპო, სამსონს გაჰყე და მედაშენ რო ვიცით ყველანი თვალით ანიშნე, მიუბრუნდა ტატო გზირს, რომელიც კანცელარიის კარებთან ატუზულიყო, თავისის უშველებელის ტყემლის ჯოხით. ამის გაგონებაზე პეპომ ეშმაკურად ჩაიცინა სქელ, აბურძგნულ ულვაშებით დაფარულ ტუჩებში. პეპოს მუზმუზელა თვალები-კი თითქოს ამას ამბობდნენ, „ჩემს სიკეთეს ნურც შენ დაივიწყებო“... ისაკომ რა იცოდა, თუ ყოველისფერი ესე გამზადებული, დამში იყო მოსული. ის თავისს ამხანაგებით ხან ერთს ჯგუფში ჩაერეოდნენ, ხან მეორეში. ურჩევდნენ არ შეშინებულიყვნენ, რასაც გულში ჰფიქრობდნენ, საქმითაც ისე მოქცეულიყვნენ. მაგრამ ხალხი ყოყმანობდა. ერთის მხრით პირი წყლითა ჰქონდა სავსე და ყელი ღვინო-არაყით ჩაკოკლოზინებული, მეორეს მხრით, ღვთის წინაშე, მომეტებულნი ჰგრძნობდნენ, რომ ტატო მაზნევარი კაცია, მაგის ხელში სოფელს ხეირი არ დაეყრებოდა. მაგრამ რად გინდა, პირდაპირ ვერა ჰბედავდნენ სიმართლე აღეარებინათ. განა ცოტა მაგალითები უნახავთ, სიმართლის მთქმელი სოფელში არ ებოგინები-

*) იხ. „ივერია“ № 114.

საბჭოს მკურნალ ბ. გედევანისათვის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს წინადადება მიუცია დაათვალიეროს ყველა საკანდიტეროები და ყველა ის დაწესებულებანი, სადაც ცივ-ტკბილი მზადდება.

*** როგორც ისმის, განზრახვა აქვთ დაარსონ გუბერნიის უფროსთა თავმჯდომარეობით განსაკუთრებული საკრებულონი, რომელთაც უნდა განიხილონ და გადასწყვიტონ შემდეგი საგანი: ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უფლება მიეცეთ შეადგინონ და დაამტკიცონ ხარჯთ-აღრიცხვა და თავად-აზნაურთა ადგილ-მამულის კერძო გადასახადის გაწერა.

*** კავკასიის უმაღლესს მთავრობას ნება დაურთავს მუშები გაიყვანონ თელავის მაზრის სოფლებიდგან ზვავების გასაწმენდად სოფ. ყვარელში და აგრეთვე მდინარე დურუჯის გასამაგრებლად.

*** ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესის სამართველოს უფროსმა განმარტა, რომ თუ ზედმეტი წარწერა კონვერტებზე ცენზურას არ ეწინააღმდეგება, ან ადრესის თავისუფლად წაკითხვას შეუძლებლად არა ჰხდის, არ უნდა აბრკოლებდეს წერილის მიტანას დანიშნულებისამებრ.

*** ოლქის საინტენდანტო სამმართველომ სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას: წინადადება მიეცით მემამულეთ იკისრონ სურსათის გამოგზავნა კავკასიის საინტენდანტო მაღაზიებში. ასეთის თხოვნით საინტენდანტოს იმ აზრით მიუმართავს ხსენეულ საზოგადოებისათვის, რომ რაც შეიძლება ბევრს სურსათის მწარმოებელს შეეძლოს პირდაპირ საინტენდანტოს მიჰყიდოს თვისი ნაწარმოები.

*** ხიდებისა და მილების გასაყვანად და შესაკეთებლად სიღნაღის გზა-ტკეცილზედ საჭიროდ დაუნახავთ 13,899 მან. გადადება.

*** იმ უცხო-ქვეყნელთა რიცხვი, რომელნიც ნებართვას თხოულობენ დაიწყონ კავკასიაში ნავთის წარმოება, საოცარი სისწრაფით მრავლდება. მაგალითად, ამ ჟამად უცხო-ქვეყნელთა ორს ფირმას წარუდგენია მთავრობისათვის ასეთი თხოვნა.

*** 29 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრების პეტრე მეძმარიაშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა კურბან-ადიგეზალ-ოღლის მოკვლა ს. კოჯორში 1898 წ. ოლქის სასამართლომ ბრალდებულს პატიმართა განყოფილებაში 3 წლით დატუსაღება გადაუწყვიტა. პალატამ, რომელმაც ეს საქმე ბრალდებულის განსაჩივრებით განიხილა, გაამართლა ბრალდებული.

*** დუშეთის მაზრის ზოგიერთმა მევენახეებმა სთხოვეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, გამოგვიგზავნეთ მცოდნე კაცი იმ ახალის სენის გამოსარკვევად, რომელიც ჩვენს მაზრაში ვაზს გაუჩნდაო.

*** მთავრობამ შესაძლებელად სცნო უფლება მიეცეთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხუთი წლის განმავლობაში საკომლო და საერო გადასახადი გორის მაზრის შემდეგს სოფლებს: ჯაიკას—2,133 მან., 81 კაპ., გარწევს—619 მან., და 70 კ. ხვცეს—1692 მან., და 52 კაპ., ორტევს—1,425 მან., და 57 კაპ., ზალდას—1,837 მან., და 19 კაპ., ერედვს—2,758 მან., და 5 კაპ., ტირძნისს—1,438 მან., და 39 კაპ., და მახლებს—3,000 მან.

*** გუშინ წინ, 1 ივნისს, „სარგებლობა და გართობის“ თეატრში (ნიკიტინის ცირკი) სცენის-მოყვარეთ წარმოადგინეს გ. გუნიას დრამა „და ძმა“. ხალხი მრავალი დაესწრო, თეატრი თითქმის სავსე იყო, მაგრამ, საუბედუროდ, წარმოდგენამ ცუდად და უშნოდ ჩაიარა. როგორც ეტყობოდა, მოთამაშენი სრულიად არა სცდილიყვნენ: არც როლები ისწავლეს და არც სხვაფრივად მომზადებულიყვნენ. ეს კიდევ არაფერი, ერთი მოთამაშე (ყარა-ოღლის როლის შემსრულებელი) იმდენად ნასვამი იყო, რომ სცენაზედ დგომა და სიარული სრულიად არ შეეძლო. მეტად საკვირველია, წარმოდგენის გამგეთ სცენაზედ გამოსვლის ნება როგორ მისცეს ამ არა ჩვეულებრივ „არტისტს“. მეტად ულაზათო იყო მარინეს როლის აღმასრულებელიც. როგორც ეტყობა, ასეთ ისეთ ფასიან წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება, ამიტომ მოთამაშეთ უფრო მეტი სიფრთხილე ჰმართებთ, რომ ხალხს გული არ აუცრუონ. სხვათა შორის, აფიშაში გამოცხადებული იყო, რომ მეხუთე მოქმედებაში გაჯასმის ხორო სიმღერებს შეასრულებსო. ნამდვილად კი არავითარ ხოროსა და გაჯასმეს მონაწილეობა არ მიუღია; ორიოდე კაცი ისე უშნოდ მღეროდა, რომ ყურის დაგდება შეუძლებელი იყო. საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ წარმოდგენა $9^1/_4$ საათს დაიწყო.

*** ტფილისის სახაზინო პალატაში 1-ლ ივნისიდგან მუშაობა იწყება დილის 8 საათიდგან და თავდება ნაშუადღევის 1-ლს საათზედ.

*** პირველ ივნისიდგან ტფილისის ოლქის სასამართლოს ორსავე სამოქალაქო და ორსავე სისხლის სამართლის განყოფილებაში მუშაობა დაიწყება დილის 9 საათიდგან და გათავდება ნაშუადღევის 2 საათზედ.

*** 1-ლ მაისიდგან 1-ლ ივნისამდე ტფილისში ავად გამხდარა სახადით 46 კაცი, ყვავილით 7, წითელით—6, ყელჭირვებით—2, წითელათი—10 და ყივანახველით—2.

*** 1 ივნისს, ნავთლუხის სადგურის მახლობლად ჰნახეს ვიღაც მოკლულის კაცის გვამი. გვამი მუშების სადგომის მახლობლად ეგდო. როგორც ეტყობა ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ყელი გამოეჭრათ. გვამის მახლობლად ტომარა ეგდო, რომელშიაც იყო საპანი, წამლების ქიქა, სათვალეები და ტანისამოსი. მოკლული ესე 45 წლისა იქმნება. ვერც მუშებმა და ვერც სხვა ვინმემ ვერ გაიგეს, ვინ იყო მოკლული. გვამი მხეილის სავადმყოფოს საანატომიო ნაწილში გაჰგზავნეს. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

*** ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლში მცხოვრებმა, საფრანგეთის ქვეშევრდომმა ადრიან ბლაშმა განაცხადა, რომ 29 მაისს ვიღაცამ მომპარა სხვა-და-სხვა ნივთები სულ 300 მანეთისა. ეჭვი მიიტანეს შორაპნის მაზრის სოფელ ორგულის მცხოვრებ გიგო მაჭავარიანზედ, რომელიც უკვე შეიპყრეს.

---

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

31 მაისი.

კრება დაიწყო ქალაქის თეატრში შუადღის თორმეტ საათზედ. თავმჯდომარეობდა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე თ. ა. გ. წულუკიძე. დარბაზის მარცხენა მხარე დაიჭირა ოპოზიციამ, ხოლო მარჯვენა—გამგეობის მომხრეებმა. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას, მიულოცა კრების დაწყება და ურჩია, მიეტოვებინათ დასური ბრძოლა და უმთავრესი ყურადღება მიექციათ ბანკის საქმეების და მისის მდგომარეობის გამოსარკვევად. შემდეგ კრებას წინადადება მისცა თავმჯდომარე ამოერჩია. წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარედ ოპოზიციამ გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი დაასახელა, ხოლო გამგეობის მომხრეებმა კი ქალაქის მოურავი ბ-ნი ლ. თ. ლოლუა.

ერთმა წარმომადგენელთაგანმა ბ-ნმა ი. ა. დუმბაძემ სთხოვა კრებას, გუბერნიის მარშალი უკენჭოდ იყოს ამორჩეულიო. ეს არ მოეწონა ბანკის მმართველს კ. ნ. ჩიკვაიძეს და მკვახედ შენიშნა დუმბაძეს, რომ იგი საზოგადოებაში წესსა და მშვიდობიანობას არღვევს და თავმჯდომარეს სთხოვა, დუმბაძისათვის ამის შესახებ ლაპარაკის ნება არ მიეცა. დუმბაძემ იწყინა ეს შენიშვნა და უპასუხა კალისტრატეს, რომ ბრბოს წინამძღოლის შენიშვნას არ ვაქცევთ ყურადღებასაო. ამ პასუხმა საშინელი ყვირილი გამოიწვია კ. ჩიკვაიძის მომხრეთა შორის და ბევრმა მოითხოვა, დუმბაძის სიტყვები ოქმში შეეტანათ. ყვირილმა და მღელვარებამ დიდხანს გასტანა. ზედამხედველის კომიტეტის წევრმა მ. ა. ქიქოძემ ითხოვა სიტყვის ნება. თავისს სიტყვაში იგი ამტკიცებდა, რომ ლოლუას, როგორც ზედამხედველის კომიტეტის წევრს, არა აქვს უფლება, კრების თავმჯდომარედ იყოს, რადგან ამ კრებამ სხვა საქმეთა შორის ლოლუას მოქმედებაც, როგორც ზედ. კომ. წევრისა, უნდა განიხილოს და დააფასოსო. ამიტომ მისი თავმჯდომარედ ამორჩევა ბანკის საქმეების მიუდგომლად გარჩევასა და დაფასებას ხელს შეუშლისო.

ამ ლაპარაკის დროს ორატორს ვიღაცამ ხელი შეუშალა; ქიქოძეს ეგონა, ეს კ. ჩიკვაიძეაო და სთხოვა დაეცლია სიტყვის გათავება. კ. ჩიკვაიძემ უკმეხად უპასუხა: „თქვენ, როგორც გეტყობათ, ქუასთან სმენაც გლოლატობთო“!..

საზოგადოება არ წყნარდებოდა და ითხოვდა, ორი ყუთი დაედგათ: ერთი წერეთლისათვის, მეორე ლოლუასთვის. დადგეს ყუთები. ოპოზიციამ მოითხოვა, ყუთები აეხადათ და კენჭი ისე ჩაეგდოთ. გამგეობის მომხრეებმა ესეც იწყინეს და სთხოვეს თავმჯდომარეს, ამომრჩევლებისათვის ამის ნება არ მიეცა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის დიდი უმრავლესობა ახდილ ყუთებში ისროდა კენჭებს. ორ საათზედ არჩევანი გათავდა. თ. ს. გ. წერეთელმა მიიღო 111 თეთრი კენჭი, 86 შავი; ხოლო ლოლუამ—100 თეთრი, 97 შავი.

---

## წერილი კავკავიდგან.

27 მაისს ქ. კავკავში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ დაარსებულმა სკოლამ პუშკინის დღესასწაული გარდაიხადა. პარაკლისი გათავდა 12 საათზედ და სკო-

---

ნოთ, სიცოცხლე ჩაუმწარეციხოთ... „ოღონდ ისაკომ გაჰბედოს, ტატოს ოიხები უფროსს ჩაუკეხჭოს და მერე ჩვენც ძივყვებითო“...

...ლოითაიდნენ, ხალხი დააფიცეს...

— აბა, სამსონ, ხალხი რიგზედ დააყენე, უბრძანა სასომ.

— ხალხო, ჩემსკენ მოდით და სიცა გითხრათ, ადგილი დაიჭით, მიუბრუნდა თავისს მხრით ხალხს სამსონი.

ხალხი გაჰყვა სამსონს. იმანაც დაიწყო ხალხის რიგზედ დაყენება.

— ისაკო, საით მიიმტვრევ ნიკორა კამეჩივით, შენ არ გეყურება, აქეთ მოდექი-მეთქი?..

— წინ დავდგები, უფროსს უნდა მოვახსენო რამე...

— რა უნდა მოახსენო, შენ გიბრძანებენ, წამოეთრიე ეგრე!.. შეუტია სამსონმა.

— მე აქ უნდა დავდგე, მოდი და შენ დამიმალე; მე ვიცი თქვენ რა მუცლის ტკივილიც გაწუხებთ...

— როგორ თუ მანდ უნდა დასდგე, ემგერა გაჯავრებული სამსონი ისაკოს, მაგრამ რა ხანა, ისაკოს ადგილიდგან ფეხი ვერ მოაცვლევინა, დაუშინა მათრახი თავ-პირში...

— რათა მცემ, კაცო, რას მემართლები; ვის რას ვუშლი, რომ მე წინ ვიდგე... თუ თქვენთვის გინდათ ეგ კაცი მამასახლისად, ჩვენ რაღას გვაწვალებთ და გვაწამებთ ამდენი ხანს, ამოირჩევდით და გაათავებდით. ბარემ თქვენს ხელში ცოცხლები არა ვართ და მაგ ცეცხლსაც ავიტანდით...

— უყურე ამ მამ... და ხელ-მეორედ დაარტყა მათრახი ისაკოს.

ეხლა-კი ველარ მოითმინა ისაკომ ამდენი შეურაცხყოფა, ადამიანურის ღირსების შელახვა. „მაშ რაღად მინდა თავი ცოცხალი, რომ ამ ვიღაცა წუკიამ, საიდამღაც მოთრეულმა, საქვეყნოდ ბიაბრობა მომაყენოს, მცემოს, თავი გამიტეხოს“, გაურბინა ელვასავით თავში ისაკოს, რომელმაც უცბად იშიშვლა ხანჯალი და ის იყო სამსონის ფაშვებს გადმოაყრევინებდა, რომ დროზედ უკანიდგან ხელი არ შეეშველებინათ ხანჯლისათვის. ხანჯლის დანახვაზედ უფროსებიც მოცვივდნენ, ოქმი შეუდგინეს ისაკოს და ხელებშეკრული დროებით ცხენის საბმურ გომში ჩააგდეს..

რაც ღვინო-არაყმა დააკლო ღერწამივით მტოკავ, ყოყმანა ხალხს, ამ შემთხვევისაგან გამოწვეულმა შიშის ზარმა დაუმთავრა. ისევ ტატო იქმნა ამორჩეული მამასახლისად... აი ეხლა ტატოს ქვითკირის დარბაზი ხალხით გაჭედილია, ლაზათიანად, მადიანად შეექცევიან, ლხინობენ, ყანწებს ატოიალებენ. გამარჯვების მისალოც, ფერადის მაფებით გადაკინძულ სიტყვებს ხო ხალხში კორიანტელი, ბოლი დაუყენებია.

ისაკო დაგდებულა მიწურ თავლაში და თავის გაჩენის დღეს იწყევლის — ბნელა, კუკუმეთია — მზის შუქი არსაიდგან შემოდის, კარებიც გარედგან ჩაუკეტეს.

ნეტა, როდემდის უნდა ვეგდო ამ ჯოჯოხეთში... რას მიპირობენ... წინადამ კაცის სისხლში არ გამრივა იმ ამოსაწყვეტმა... მაგრამ რაც უნდა მიყონ. სულ ერთია, სიცოცხლე ჩამიშხამეს, დღე გამიმწარეს. ტატოს ხელში აღარ მეცხოვრება... მაგრამ საით ჯანდაბაში წავიდე — ცოლშვილი რომ არ მებრალებოდეს წავიდოდი, გადავსხვავდებოდი საითმე, მაგ ულმერთოს თავს დავახწევდი, მაგრამ ეხლა ხელ-ფეხი შეკრული მაქვს. საით წამესვლევინება. მოვალეები ცალკე მიბრახუნებენ თავში, ვექსილებს ყავლი, დრო შეუსრულდათ, მოიტა ჩვენი ოხერი და ტიალი ფული ჩაგვაბარეო“...

საიდგან ჩააბაროს, თამბაქოს ფული რომელ ერთს გაჰხვდება. თუნდა ცოტ-ცოტა ფულით ყველანი დააჩუმოს, აბა ჯერ გაყიდვისა რა ჩანს, თამბაქო ისევ შინ უყრია გასასყიდი. ქალაქში წაიღოს, მაგრამ გუშინ-წინ არ იყვნენ ქალაქიდგან მოვიდნენ მეთამბაქოე ბიჭები და ცალი ფული ვერ მოიტანეს—ვერავის ვერ გაეყიდნა. ტატოს მიეწერა ქალაქელ მექარხნეებისათვის, „ვისაც თამბაქო აქვს ჩამოტანილი ყელთამდის ვალებში არიან ჩაფლულნი, იხრჩობიან, დანა ყელთანა აქვთ მიტანილი, არამც და არამც ჯერ-ჯერობით მაგათი თამბაქო არ იყიდოთ, ცოტა ხანს კიდევ ალოდინეთ, აძალღორეთ და მერე მაგათ ნაოფლარს თითქმის მუქთად ჩაიგდებთ ხელში“-ო. ბაქოელ მექარხნე მურზაყალოვის იმედი ჰქონდათ, „დღე დღეზე უნდა მოსულიყოო“, „თვალები იმისკენ დაგვწყდა, ლოდინისაგანაო“, მაგრამ თურმე ქალაქიდგან მიეწერნათ, „ოღონდ შენ ადგილიდგან ნუ დაიძვრები და რაც თამბაქო დაგჭირდება პირველი ჯურისას ფუთს ხუთს მანეთად მოგიწონავთ“-ო. აბა, მაშ რაღა იმედი უნდა ჰქონდეს ქალაქში რიგიანად ფასად თამბაქოს გაყიდვისა. „ფუთში სამ მანეთსაც აღარ მომცემენ და.. სამ მანეთამდის ნაღდი მაქვს ფუთზე დახარჯული, ჩემმა შრომამ ხო ტყუილად უნდა ჩაიაროს... ვაიმე ცოლ-შვილო დაღუპულო!... ეხლა ხო ფულს აღარავინ მენდობა, ყველასთან პირშავად გამოვდივარ. ეს რა მიყო იმ ოჯახ... კიდევ მოჯამაგირეობა“... და ჩაეძინა მიწაზე მწოლარე ისაკოს.

არც თუ ძილში იყო მოსვენებული ისაკო. ჰხედავს სიზმარში, ვითომც ამის თამბაქოს საწყობს, სახლს ცეცხლი ეკიდება, ალი ბურბურით, გველის ენებივით ცასა სწვდება, მთელი დუნიის ხალხს თავი აქ მოუყრია, უნდათ სახლში შეცვივდნენ, შიგნიდგან ჩარაზული კარები შეამტვრიონ, სახლში მწოლარე ხალხი გადაბუგვას გადაარჩინონ, მაგრამ კარები ვერ დაულეწნიათ. აი ერთმა მაღალ-მაღალმა, მხარბეჭიანმა კაცმა ღონივრად ჰკრა კარებს წიხლი და იოწიოთ მისცა—უნდათ შეცვივდნენ, მაგრამ ალს მოუცავს მთელი სახლი—ვერავის ვერ გაუბედნია, მაგრამ ისაკო იწევს, „დეე მეც იმათთან დავიღუპო, რიღასთვის მინდა თავი ცოცხალი, რა „და აქრებული, გახარებული ცხოვრება მე მქონდა, რომ ეხლა ცოლ-შვილის დაღუპვაც მოვინელოო“.. „არა, არა, ნუ მიჭერთ, გამიშვით, გამიშვით!“.. ისაკომ ერთი ღონივრად გაიწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და გამოეღვიძა..

ე—ლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დარბაზიც გაილო. დარბაზი საუცხოვოდ იყო მოწყობილი, ოთახის სამი კედელი დაფარული იყო სურათებით. ყველა სურათს გარშემო ყვავილ-ვარდიანი გვირგვინი ჰქონდა. ოთახის შუაგულს მაგიდაზედ მრავალ ფეროვან-სუნელოვან ყვავილებში პოეტის სურათი იყო მოთავსებული. დღესასწაული დაიწყო, „მეუფეო ზეცათაო"-ს გალობით და პოეტის ბიოგრაფიის კითხვით. პუშკინის ბიოგრაფია და ამის მნიშვნელობის შესახებ წაიკითხა მასწავლებელმა ბ-ნ ლ. ბოცვაძემ, რომელმაც ნათლად, მკაფიოდ დაუხატა მსმენელთ თუ ვინ არის ის, ვისაც დღეს მთელი რუსეთი პატივისცემით იხსენიებს. ბოცვაძის შემდეგ მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილების მოსწავლეებმა წაიკითხეს ქართულად და რუსულად პოეტის ლექსები. მოსწავლეები ჩინებულად იყვნენ მომზადებულნი, უფრო შესამჩნევად წაიკითხეს მეოთხე განყოფილების მოსწავლე ქალმა ნ. ფიცხელაურმა, მოსწავლე ვაჟმა მ. კერესელიძემ და ბოცვაძემ. მგალობელთა გუნდმა ბ-ნ ბოცვაძის ლოტბარობით იმღერა „Боже царя храни" „Зимняя дорога" და „Два ворона". ყურთა დამატკბობელი იყო „Два ворона" და „Боже царя храни".

სკოლის გამგემ ბ-ნმა ტ. ვ. კახიძემ მსმენელთ აუწყა სკოლის დაარსებიდგანვე მოკლე ანგარიში, საიდამაც შევიტყეთ ვინ ყოფილან სხვა-და სხვა დროს მასწავლებლად ათის წლის განმავლობაში, ვის რა მოღვაწეობა მიუძღვის სკოლის კეთილ დღეობისთვის.

მიმდინარე წლის ანგარიშში მოხსენებულია სკოლის წარმატება, მასწავლებლის მომატება, მათი სამსახურის ჯილდო. დასასრულ მოსწავლე ქალთა და ვაჟთ დაურიგეს საჩუქრები. საჩუქრები შესდგებოდა პუშკინის სურათისაგან, ქართულ-რუსულის წიგნებისა და ხილისაგან. ამ დღესასწაულს დაესწრნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრი ბ-ნი გ. ნ. იოსელიანი, რომელმაც წერილით მოიწვია ადგილობრივი ქართველობა და საპატიო კაცნი. მანვე თავისი ხელით ბავშვთ საჩუქარი დაურიგა.

დასასრულ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ სამზრუნველო კომიტეტის უანგარო მოღვაწეობა სკოლისა და აქაურის ქართველობის საკეთილდღეოდ. სამზრუნველო კომიტეტის მეცადინეობითა და ხნეობით წელს კავკავში დაარსდა ქართული ეკკლესია, სკოლას მესამე მასწავლებელი მიემატა და, თითქმის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დაუხმარებლად ინახება აქაური სკოლა, რომლის წლიური ხარჯი 2,000 მან. აღემატება. სამზრუნველო კომიტეტი ვერაფერს ვერ გააწყობდა, გარშემო შეგნებული და თავიანთ შვილების გულ შემატკივარი ქართველობა რომ არ ეხვიოს. სასიამოვნოა ხალხის ასეთი თანაგრძნობა და სასიამოვნო იქნება უფრო, თუ მოკლე ვადიანი არ გამოდგა. სკოლა თუ თავისს დანიშნულებას არ ასცდება, ხალხის გულიცა და სულიც მისკენ იქნება. სკოლას ჯერჯერობით კარგი ნიადაგი აქვს მოპოვებული აქაურის ქართველებისა და სამზრუნველო კომიტეტის წყალობით. ვუსურვებთ მხოლოდ მეტს წარმატებას და სკოლის მოკეთეთა შორის მშვიდობასა და კეთილ სათნოებას, რომელიც ქვა-კუთხედია ყოველ საზოგადო საქმის კეთილად წარმატებისა.

მ—შვილი

## წერილი რაჭიდგან.

ამ ათის წლის წინად რაჭაში კანონიერის ქაღალდებით იყიდეს რამდენმამე სოფელმა ორი ნაწილი ტყიანი მთა. ეს მთა მდებარეობს აღმოსავლეთ-სამხრეთით სვანეთის საზღვრამდე და დასავლეთ სამხრეთით საყიფიანოს მთამდე. ეს ის მთა არის, რომლის რამოდენიმე ნაწილი პავლე მოსეშვილმა იყიდა. თუმცა მთა გაუყოფელია, მაგრამ ბ-ნი პავლე მოსეშვილი, როგორც უნდა, ისე სარგებლობს. როგორც ზემოდა ვსთქვით, ამ მთის ორი მონაწილეობა იყიდეს სოფლელებმა (განურჩევლად გლეხმა და აზნაურმა) იმ იმედით, რომ მთაში თავისუფლად შესძლებოდათ სიარული; მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ყიდვის უწინ მოწმობას იღებდნენ; გლეხი და აზნაური ისე სარგებლობდა მთით. ეხლა თუმცა ორი ნაწილი შეისყიდეს, მაგრამ არც მოწმობით და არც ისე მთაში არავის არ უშვებენ, თუ ვინმემ გაბედა ტყეში წასვლა და მოსჭრა შეშა და ან სხვა რაიმე მასალა, ვაი მისის დედის მზეს. ტყის მცველებად არიან დაყენებული ზოგიერთი თავზე ხელ-აღებული იმავე სოფლის გლეხები და აზნაურები. დახვდებიან წინ საწყალ გლეხს, ჯერ რიგიანად მიბეგვენ, მერე წაართმევენ სამუშაო იარაღს, შეუდგენენ ოქმს და აჯარიმებენ ერთი ორად. ავი ნუ მოგეცეთ, ოქმის გამრჩევი იმისათვის თავს არ იწუხებდეს, რომ ეს საწყალი გლეხი დამნაშავეა, თუ ტყუილად ახდევინებენო. ის მარტოკა იმას გაიძახის, ჩქარა ოქმის ფული წარმოადგინეო და თანაც უჯავრდება: რომ მიეთრევი, რას მიეთრევი დაუკითხავადაო.

ამას გარდა, სხვა ეშმაკობასაც სჩადიან ტყის მცველები, მოატყუებენ საწყალ, უსწავლელ გლეხს, გამოართმევენ ორ-სამ მანეთს, აძლევენ უბრალო ქაღალდს და ეუბნებიან: წადი და რაც გინდა მოსჭერი; ვერავინ დაგიშლისო. მიდის გულ-დაჯერებული გლეხი, მოსჭრის რაც უნდა, მაგრამ ვაი იმისთანა მოჭრას, დახვდებიან ისევ ის ვაჟბატონები, ნამუშევარსაც წააართმევენ და შეუდგენენ ოქმს ხელ-მეორედ, ერთი სამად და ერთი ოთხად ახდევინებენ. ასე და ამნაირს გაჭირვებაში არის საწყალი გლეხ-კაცობა. მაგრამ არც აზნაურებს ადგიათ კაი დღე. ისინიც ჩვენს ტაფაში იხრაკებიან.

სწორედ ძნელი ასაწერია, თუ რა წვალებაში არიან სოფლელები გაიძვერა ტყის მცველებისაგან. მაგრამ აქამდის ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია და არც ეხლა გვყავს გზის მაჩვენებელი, არავინა გვყავს პატრონი და ჩვენც ბრმაყრუთ გზა ვერ გვიპოვნია, გვალპება სახლები თავზედ უყავრობით, ვკვდებით სიცივით ზამთარში უშეშობით. მართალია, გამოჩნდნენ ორიოდე სოფლის გულ-შემატკივარი „აბლაკატები" და მოაგროვეს მეკომურზედ ორ-ორი მანეთი იმ პირობით, რომ მთა უნდა გამოეტანოთ სოფლელების სასარგებლოდ, მაგრამ როგორც მე არ მომიტანია ზეციდგან მანანა, ისე იმათ არავითარი ცნობა არ მოუტანიათ მთავრობისაგან მთის შესახებ. ჩავიდნენ ქუთაისში, შესჭამეს გლეხების ნაოფლარი და მოვიდნენ შინ ცალიერნი. ასე და ამ გვარად ბევრისაგან მოსტყუვდნენ ჩვენი სოფლები და კიდევ ბევრს მოტყუვდებიან.

ბევრია ჩვენს სოფელში ისეთი გლეხი, რომ მაშინდელი მთის ფული დღესაც კისერზედ აწევს ვალად და სამ თუმანში ათ-თხუთმეტ თუმანს იხდის ჭაპან წყვეტით. სახელმწიფო გლეხებსა გვაქვს მთავრობისაგან მოცემული საბალახე, მაგრამ იქაც კი არ გვიშვებენ უფულოდ: ერთ სულ პირუტყვზედ ხუთ შაურს გვახდევინებენ.

სიმონ ბოჭორიშვილი

## წერილი საჩხერიდგან

(შორაპნის მაზრა)

ჩვენკენ აბრეშუმის მოყვანას თითქმის არავინ მისდევს და თუ მოჰყავს თითო ოროლას, ისიც შინ, ოჯახში სახმარებლად, ამასთან ისეთის დაბალის ღირსებისაა აქ მოყვანილი აბრეშუმი, რომ სახსენებლადაც არა ღირს. თუმცა ყოველს ექვს გარეშე-კია, რომ ვინმე პატრონი გამოგვჩენოდა, ქვემო იმერეთზედ არა ნაკლებ აქაც მოიკიდებდა აბრეშუმი ფეხს და კარგს ბაზარსაც გაიჩენდა. წელს ჩვენკენ აბრეშუმის გავრცელება განიზრახა ბ-ნ ტატიშვილმა მეუღლითურთ. მათ კიდეც დაურიგეს ს. ჭალაში ხალხს ორმოც კოლოფამდის აბრეშუმის თესლი. ხალხმა სიხარულით დაიტაცა და დიდად მადლობელიც დარჩა. მართლაც დიდი მადლობის ღირსნი არიან მეუღლენი ტატიშვილნი, რომელთაც განზრახვა აქვთ შემდეგშიაც ხელი შეუწყონ აბრეშუმის გავრცელებას. საუბედუროდ ასეთ კეთილ საქმეს დაბრკოლება შეხვდება ხოლმე. ამას წინად, მაგალითებრ, ბ-ნ ტ—შვილის გამოეგზავნა ერთი ვაჭარი საჩხერისაკენ, რომელსაც სოფლებში ხალხისთვის თესლი უნდა დაერიგებინა და მსურველთათვის ესწავლებინა აბრეშუმის მოყვანა-მოვლა და შემდეგ ბაზარიც გაეჩინა აბრეშუმისათვის, მაგრამ წარმოიდგინეთ ხალხის სიკეთის მდომთა საქციელი: ეს ვაჭარი დაერწმუნებინათ, რომ უსიამოვნების მეტს ვერას ნახავო და ისევ ცალიერ-ტალიერი დაებრუნებინათ საჩხერიდგან. სამწუხაროა ასეთი ამბავი, მით უმეტეს, რომ ნიადაგი აბრეშუმის გასავრცელებლად კარგია ჩვენში და ვერ გაგვიგია, რითი ხელმძღვანელობს ვინც ამ საქმეს ხელს უშლის.

სხვა ჩვენკენ ისეთი ახალი არა არის რა, რომ მკითხველის საყურადღებო იყოს, ცხოვრება ისევ ძველებურად — ჩვეულებურად ზანტად მიიზლაზნება, არავითარი გონებისა და ზნეობის მწვრთნელ-მზრდელი დაწესებულება არ არის, მართალია, საჩხერეში ერთი ღარიბი სამკითხველო გვაქვს, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ამის საქმის კარგად წაყვანას ხელს უშლიან ის ვაჟბატონები, რომელნიც უფრო კერძო საქმეებისათვის იკრიბებიან და იმის შესახებ აქვთ სჯა-ბაასი.

დასასრულ, ერთი სასიამოვნო ამბავიც: ეს მესამე თვე იქნება, რაც აქ ორ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებლად გამწესეს ბ-ნი ს. ჯინჭველაშვილი, რომელსაც შეუდგენია მგალობელთა გუნდი და სულ მცირე ხნის განმავლობაში ისე მშვენივრად მოუმზადებია, რომ სასიამოვნო საყურებელია, როცა მისისავე ლოტბარობით ეკკლესიაში კვირა-უქმეობით ბავშვები ქართულ-რუსულად ნოტებზედ ჰგალობენ. დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ს. ჯინჭველაშვილი და შემდეგში ვუსურვებთ, რომ ისე მუყაითად განაგრძოს ეს საქმე, როგორც დაიწყო.

ქ.—ქ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ხონი**, (ქუთაისის მაზრა). წელს მოიტანეს ხონში გასაყიდად და კიდეც გაიყიდა სულ 40,000 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი. თითოეულს მათგანში იყო საშუალო ანგარიშით 6 მისხალი; მაშასადამე, სულ გაყიდულა 240,000 მისხალი თესლი. ერთი მისხალი ფასობდა 40 კაპ., მაშასადამე, სულ გაყიდულა 96,000 მანეთის თესლი. ეხლა რა მოახდინა ამ ჯაბა თესლის ყიდვამ? ის, რომ ჭიისათვის არ ეყოთ თავიანთი თუთის ფოთოლი და, რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებამ ფოთლის ფასი ასწია: შარშან რომ იყიდებოდა ძირა (თუთის ხე) 20—25 კაპეიკათ, წელს იყიდებოდა 1—8 მან., მაგრამ ვეღარც ამ ფასად შოულობდნენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან, როგორც მოკლე დარიგებიდგან სჩანს, თითოეულ მისხალ თესლიდგან გამოსულ ჭიას უნდება ცახზედ ასვლამდე 7 ფუთი ფოთოლი. მაშასადამე, 240,000 მისხალს მოუნდებოდა 1,680,000 ფუთი ფოთოლი. ამდენი ფოთოლი რომ ვეღარ იშოვნეს, ბევრმა გამოკვებილი ჭია გადაჰყარა. ვინც მეიმლო ყიდვა და ან იშოვა სადმე სასყიდლათ, რასაკვირველია, აღარ დაზოგა ფული იმ იმედით, რომ იქნება ბუდისა და თესლის ფასი მაინც ავიღოო. მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდათ. როგორც მე თითონ ვარ მოწმე, ხონის აბრეშუმის ძაფის სახვევის ქარხნის პატრონებმა—სანოძემ და ხითაროვმა პარკის პატრონებს შეაძლიეს ერთ ფუთ პარკში 10 მანეთი, მაშინ როდესაც პარკის პატრონებმა ოცი მანეთიც რომ აიღოს ფუთში, მაინც ძლივს აღადგენს დახარჯულ ფულს, ხოლო მათმა შრომამ ფუჭად უნდა ჩაიაროს.

თ. დავით ივანეს ძე წულუკიძე

# რუსეთი

— „სავ.-სამრეწ. გაზ."-ის სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთათვის ნიშნების დასმის წეს-რიგი იმ სახით, 1) რომ ვალდებული არ იყოს მასწავლებელი დაუსვას მოსწავლეთ ნიშნები ყოველ გაკვეთილისათვის; 2) რომ კლასების ზედამხედველმა ყოველ კვირაში შეატყობინოს მშობლებს მათი შვილების სისუსტე სწავლაში, 3) რომ ძველებურის წესით დაისვას ნიშნები სამოსწავლო წლის პირველ სამ მეოთხედში, ხოლო მეოთხე მეოთხედის მაგივრად დაისვას წლიური ნიშნები.

— ფინანსთა სამინისტრომ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ საქალაქო და საერობო დაწესებულებათ უფლება მიეცეთ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი ქალაქისა და სოფლის მოედნებზედ საზოგადო სასწორების გამართვის შესახებ და აგრეთვე ამ სასწორებზედ ბაზარში სოფლის ნაწარმოებთა აწონვის შესახებ.

# უცხოეთი

**იაპონია**. ინგლისელები, განსაკუთრებით ლორდი ბერესფორდი, ურჩევენ იაპონიას, რომ სამხედრო კავშირი შეჰკრას ინგლისთან. ეს აზრი მოსწონს იაპონიის ჟურნალ-გაზეთობის ერთს ნაწილს, მაგრამ მომეტებული ნაწილი იაპონელებისა—მეტადრე ამ ბოლო დროს,—ასეთის კავშირის წინააღმდეგნი არიან. რაც დრო გადის, იაპონიაში თანდათან რწმუნდებიან, რომ არც ინგლისთან და არც ევროპის სხვა რომელსამე სახელმწიფოსთან კავშირის შეკვრა მათ ხელს არ მისცემს და სიკეთეს არ დააყრის. უმჯობესია, ჩვენი იმედი ჩვენს ძლიერებაზედ იყოს დამყარებული, და აგრეთვე ჩინეთის ფეხზე წამოდგომას ხელი მოვუმართოთ და მას შევუკავშირდეთ საერთო მტრების მოსაგერებლადო,—ამბობენ დღეს იაპონელები. ტოკიოს ლიბერალური გაზეთი „ჯიმინი", რომელსაც დიდი გავლენა აქვს მოპოვებული, აი რა აზრისაა ამ საგნის შესახებ:

„კავშირი,—ამბობს გაზეთი,—ისეთ სახელმწიფოებს შორის არის მოსახერხებელი, რომელნიც სრულიად თანხმანი არიან ერთი მეორისა, და რომელთაც საერთო მტრის ეშინიანთ. ვინ არის იაპონიის მტერი? რამდენიმეა, და მათ შორის—ის სახელმწიფოც, რომელთანაც მეგობრულ კავშირის შეკვრას გვირჩევენ. იაპონიის ინტერესებს დიდი ვნება მიეცემა, ჩინეთი თუ დანაწილდა, ვინაც უნდა დაანაწილოს იგი: რუსეთმა მანჯურიაში, ინგლისმა იანცზში, თუ გერმანიამ შანდუნში. მართალია, იაპონიამ თითონ დაიწყო მისი დარღვევა 1895 წელს: ჩვენ მარტო ფორმოზა კი არ დავიჭირეთ, ლიაოტუნის მითვისებაც გვინდოდა, და ამით დავუმტკიცეთ მთელს ქვეყნიერებას რომ ჩინეთს არ შეუძლიან თავისი თავის პატრონობა. ამ რიგად ჩინეთის ბედი და იღბალი გადაწყვეტილია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა გვქონდეს და არა სხვა რომელიმე სახელმწიფოსიო".

# დამაკვირდი

როდესაც ცხოვრებაში შედიხარ, თვალ წინ უნდა გედგას მისი ურგემარგება: მისგან ბევრს ნურას გამოელი და მაშინ უფრო მცირე სიკეთეს ბედნიერებად მიიჩნევ.

ბ. დ—შვილი

* * *

პირველ ამაღლდა თვინიერ საქმით ქმნისა, მრავალნი ცხონდეს თვინიერ სიტყვით თქმისა.

წმ. გრიგოლი

* * *

უკეთუ გნებავს მოყუასთა მიმართ ორგულებით ყოფაჲ, საჭურველად გაქუნ ენაჲ ზორროტი და არა იტყჳნ, რაჲ გულსა გიცნ, არამედ ტყუილსა თხზავენ.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შვეიცარიაში ამ ჟამად ამზადებან ერთ გვარ საათს, რომელსაც ისარი და დროს მაჩვენებელი ციფრები არა აქვს. ამ საათს შიგნით ფონოგრაფი აქვს მოთავსებული; საკმაოა თითი დააჭიროთ ერთ დანიშნულ ადგილს და ფონოგრაფი მაშინვე წამოიძახებს, „ექვსის ნახევარი" ან „ერთი ჩარექი რვისა", საზოგადოდ იმას, რამდენი საათიც არის, ამასთან წამსაც დაჭეშმარიტებით აღნიშნავს ხოლმე.

* * *

ესპანია-ამერიკის ომის დროს მთელი ქვეყანა გაკვირვებული იყო იმითი, რომ ამერიკელები ყველა ბრძოლიდგან უვნებელნი გამოდიოდნენ, ესპანელების ტყვიები ამერიკელებს არავითარ ზარალს არ აყენებდნენ. ესპანელები სამაგალითოდ იბრძოდნენ, მტერს არასოდეს არ გაურბოდნენ, მაგრამ გამარჯვებულნი მაინც ამერიკელები იყვნენ ხოლმე. პირველ ხანს ისე ჰფიქრობდნენ, რომ ესპანიის ჯარის-კაცებმა თოფის სროლა სრულიად არ იციანო. მაგრამ ეხლა სულ სხვა გამოირკვა. ამერიკელებს ესპანელების ის სამხედრო გემები, რომელიც შეიპყრეს, გაუჩხრეკიათ დ უპოვნიათ იქ მრავალი თოფის პატრონა. როდესაც გაუშინჯნიათ ეს პატრონები, უნახავთ, რომ გარედგან ლითონი ჰქონია გადაკრული, შიგნით კი ბალნით ყოფილა გამოტენილი, თოფის წამალი სულ ცოტა ეყარა თურმე შიგ. რასაკვირველია, ასეთის ტყვიებით ესპანელები ვერაფერს დააკლებდნენ მტერს.

* * *

ძველის ქაღალდის, დაძველებულის წიგნების, ქაღალდის ფულის, ბანკის ბილეთების ხმარება ძალიან მავნებელი ყოფილა. ასეთი ქაღალდები და ბილეთები გაჟღენთილია თურმე სხვა-და-სხვა გადამდებ ავადმყოფობის მიკრო-ორგანიზმებით, ამიტომ ადვილად შეიძლება ავადმყოფობა ასეთის ქაღალდების შემწეობით საღს კაცსაც გადაედოს. საზღვარ-გარედ კარგა ხანია ამას ყურადღება მიაქციეს. ბრიუსელში, მაგალითად, ადმინისტრაციამ ერთის შემნახველ კასსისამ, სადაც მრავალი ძველი ქაღალდის ფული და ბანკის ბილეთები ინახება, ამ რამდენისამე ხნის წინად დაადგინა, მალ-მალ დეზინფექცია უყოს ხოლმე ამ ნივთებს. ერთი გაზეთი სწერს, რომ მას შემდეგ, რაც ამ კასსაში ეს საშუალება იქმნა შემოღებული, სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა ნაკლებად ვრცელდება იქ მოსამსახურეთა შორის, ვიდრე წინად. ეხლა დეზინფექციას საზღვარ გარეთ ბევრმა ბანკმა და საზოგადო დაწესებულებამაც მიჰყო ხელი. განსაკუთრებით დეზინფექციას საჭიროებენ თურმე წიგნთ-საცავნი, სადაც მრავალი ძველი წიგნებია და საიდგანაც ბევრ ავადმყოფსა და კარგად მყოფსაც, გააქვს წიგნები. საფრანგეთში უკვე ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დეზინფექცია ყველა წიგნთ-საცავისათვის სავალდებულო გახადონ. საჭიროაო, ამბობს ერთი რუსული სამეცნიერო ჟურნალი, უცხო ქვეყნელების მაგალითს ამ შემთხვევაში ჩვენც მივბაძოთო.

## გამოსადეგი ცნობა

თუ ვისმეს პირიდგან ცუდი სუნი სდის, ამისი მიზეზი უსუფთაობა და პირის მოუვლელობაა. თუ კბილში საჭმელი რამ ჩარჩა, იგი იხრწნება და ცუდი სუნი აქვს. ამიტომ კბილები ყოველ დღე უნდა გამოირეცხოს მაგარის ჩოთქით, რომელიც წმინდა სპირტსა ანუ ოდეკოლონში უნდა ჩაასველონ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივნისი

**ჰელსინგფორსი.** ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, რომ მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ-ინება და ფინლიანდიის სენატის 1896 წლის ანგარიშიდგან იხილა, რომ ამ განაპირა ქვეყნის მკვიდრთა 34% სრულიად არ არის უზრუნველ ყოფილი ადგილ-მამულით. თანაგრძნობით მიეგება რა ასეთს მდგომარეობას უმიწა-ადგილობისას, ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ჰბრძანა გადაიდოს ორი მილიონი ფრანკი და თანხა შესდგეს მათთვის ადგილ-მამულის მოსაპოებლად. ამ ფულის დასახარჯ განსაკუთრებულ წესების შესამუშავებლად სენატს წინადადება მიეცა ცალკე კომისიის დაწესებისა. ეს უმაღლესი წყალობა უადგილ-მამულოთა გულში აღძრავს გრძნობას განუსაზღვრელ სიყვარულისას და რუსეთის თვით მპყრობელის მიმართ დიდის მადლობისას.

**პარიჟი.** პალატა. სოციალისტთა ზოგიერთი დეპუტატები უჩივიან პოლიციელთა უმართებულო ქცევას. წარდგენილ იქმნა სამი წინადადება ჩვეულებრივ საქმეების განსახილველად გარდასვლისა, სხვათა შორის, წინადადება სომადისა, რომელშიაც მოწონებულია განცხადება მთავრობისა. ზოგიერთი დეპუტატები ამბობენ, პირდაპირ შევუდგეთ საქმეთა განხილვასაო, მაგრამ დიუპუი უარჰყოფს ამას და უერთდება სომადის წინადადებას. (დიდი მღელვარებაა). პირდაპირ გადასვლა საქმეების განსახილველად უარ-ყოფილ იქმნა 326 ხმით 219 წინააღმდეგ. პალატამ უარ-ჰყო შემდეგ 376 ხმით 109 წინააღმდეგ პირველობა ვალიანის წინადადებისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ვულოცავთ პარიჟის მკვიდრთ გუშინდელ მშვენიერ მანიფესტაციას და ვუსაყვედურებთ პოლიციასაო. დიუპუი აცხადებს, რომ ვერ შევიწყნარებ დიულოს წინადადებასაც, რომელიც ასეა შედგენილი: „პალატა არ უერთდება რა პოლიციის გამქიცხველთ" და სხ. დიულოს წინადადება უარ-ყოფილ იქმნა (346—158). (დიდი მოძრაობაა). სამი წინადადება წარადგინეს რიუომ, რანბერტომ და ბრენმა. დიუპუიმ უარჰყო სამივე და განაცხადა, რომ სომადის წინადადებას უერთდებიო. პალატა შეუდგა ხმის შევსებას რიუოს წინადადების პირველობის შესახებ, რომელიც ასეა შემდგარი: პალატას განზრახვა აქვს, რომ მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთს მთავრობას, რომელიც მხნედ დაიცავს რესპუბლიკის დაწესებულებათ და უზრუნველ ჰყოფს საზოგადოებრივს წეს-რიგს,— შეუდგება მორიგ საქმეთა განხილვას. რიუოს წინადადების პირველობა შეწყნარებულ იქმნა (366—177). დიუპუი კვლავ აცხადებს, რომ მივიღებთ მხოლოდ სომადის წინადადებასაო. რიუოს წინადადება შეწყნარებულ იქმნა 321 ხმის უმეტესობით 178 ხმის წინააღმდეგ. მინისტრები გავიდნენ დარბაზიდგან. სოციალისტები ჰყვირიან: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!" სხდომა შესწყდა. შემდეგი კრება ორშაბათისათვის არის დანიშნული.

**პარიჟი.** სხდომის შემდეგ, 5½ საათზედ, დიუპუი თავისის ამხანაგებითურთ წავიდა ელისეის სასახლეში, რათა რესპუბლიკის პრეზიდენტს ერთობილი თხოვნა გარდასცეს სამსახურიდგან გადადგომისა. პრეზიდენტმა შეიწყნარა კაბინეტის სამსახურიდგან გადადგომა და სთხოვა მინისტრებს დარჩენილიყვნენ თავთავის ადგილებზედ მათ მოადგილეთა დანიშვნამდე.

მინისტრთა ელისეის სასახლეში ყოფნამ 5 წუთს გასტანა. ბურბონის სასახლის დერეფნებში პალატის კენჭის ყრამ დიდად იმოქმედა, იმიტომ რომ სხდომის დასაწყისს არავინ მოელოდდა კაბინეტის დაცემას. სოციალისტები დიდს სიამოვნებას გამოსთქვამენ.

ლუბემ დიდი მადლობა გარდაუხადა გადამდგარ მინისტრებს ხელის შეწყობისათვის და უთხრა, რომ სიამოვნებით გაგიხსენებთ თქვენცა და თქვენს სამსახურსაცაო. ლუბესთან მოლაპარაკებამ დიდად სასიამოვნოდ იმოქმედა დიუპუისა და მისს ამხანაგებზედ. უკვე ასახელებენ სამ-ნისტრ-პრეზიდენტო კანდიდატებს, სხვათა შორის, პუანკარეს, ვალდეკ-რუსსოს, დელკასსეს, კრანცს, დელომბრას, გოლენს, აგრეთვე ბრისონს, სანნესანს, დუმერგს და სხ. ლუბე ხვალ მოიხმობს სენატისა და პალატის პრეზიდენტებს, რათა თათბირი იქონიოს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

დღევანდელ რამდენსამე კენჭის ყრას ემჩნევა, რომ უმეტესად ცოტ-ცოტა ყველა დასს მიუღია მონაწილეობა. აშკარაა, უმეტესობა იმ აზრით ჰხელმძღვანელობდა, რომ დიუპუი მოეშორებინათ. ვალიანის მიერ შეკითხვა საბაბი იყო, რომ კრიზისის ჭეშმარიტი მიზეზი დაეფარათ. სოციალისტები და სოციალ-რადიკალები უსაყვედურებენ კაბინეტს დრეიფუსის საქმეში წინაუკმო ყოფა-საქციელს. რაც შეეხება ზომიერთ, იმათ მელინის დაბრუნების იმედი აქვთ.

დელომბრეს საღამოზედ მრავალმა დეპუტატმა განუცხადა, რომ დრეიფუსის საქმის გარდაწყვეტას დიდი ადგილი ეჭირა დიუპუის კაბინეტის დაცემის საქმეშიო. სოციალისტები და მრავალნი რადიკალნი თხოულობენ, რომ დანაშაული გარდახდეთ გენერლებს ბუადეფრსა და მერსიემდე ყველას. იმ აზრისანი არიან, რომ დიუპუი აქამდე არ მივიდოდა, ამიტომ ისარგებლეს ვალიანის შეკითხვითა და პოლიციის მოქმედებით და კაბინეტს თავისი უნდობლობა გამოუცხადესო.

**პარიჟი.** ხმა გავრცელდა, ვითომ ნიცცაში დაეპატიმრებინოთ ჰერცოგი ორლეანისა, მაგრამ ეს ხმა ოფიციალურად უარ-ყოფილია. ნიცცაში დაპატიმრებულიქმნა იტალიის გენერალი ჯალიეტტა გუშინ, იტალიის საზღვარს ახლოს, იმ დროს, როდესაც ჰსინჯავდა საფრანგეთის საგერ სიმაგრეებს. უპოვნეს საფრანგეთის სხვა-და-სხვა გეგმანი. ამ გენერალს რამდენიმე ხანია თვალ-ყურს ადევნებდნენ. იგი დაბეჯითებით ამბობს, რომ საჯაშუშოდ-კი არ დავდიოდი, ისე ვმოგზაურობდიო. მისის სიტყვით, გეგმებს, რომლებიც უპოვნეს, არავითარი საიდუმლო ხასიათი არა აქვსო.

**პარიჟი.** ყველა გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ დიუპუის, ამტკიცებენ რა, რომ უსწორ-მასწორო პოლიტიკის წყალობით იმას უნდოდა არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური. ის ყველა დასს ჰლალატობდა, ყველა გადაემტერაო. ყველანი თანხმანი არიან, რომ ლონშანში მომხდარი შემთხვევა დიუპუის ფეხს წააკვრევინებსო. სოციალისტები თავისს თავს აწერენ ამ საქმეს. რადიკალთა და რესპუბლიკელთა გაზეთების უმეტესობა ამტკიცებს, რომ კრიზისი დიდ ხანს არ გასტანსო. კონსერვატორები ჰფიქრობენ, რომ კრიზისი დიდხანს გასტანს და ლუბეს საქმე გაუჭირდება, თუ წინდაწინვე არ აღნიშნა სამინისტრო კაცებიო. ზოგიერთი გაზეთები მინისტრ-პრეზიდენტ დ ასახელებენ: კონსტანს, რუვიეს, პუანკარეს, ვოლდეკ-რუსოს და ბურჟუას. სხვები ასახელებენ კიდევ ბრისონს, სარიენს, ტრარიეს. „Matin"-ი გვარწმუნებს, რომ დელკასე ისევ დარჩება გარეშე საქმეთა მინისტრადო.

„Echo de Paris"-ში ბორეპერი აცხადებს, რომ ჩქარა აღმოჩნდება დრეიფუსის დანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები და იმათ გამოვაცხადებ „Echo de Paris"-შიო.

**პარიჟი.** კრისტიანის მიუსაჯა სასამართლომ 4 წლით ციხეში ჯდომა.

**პარიჟი.** სენატისა და პალატის პრეზიდენტებთან ლაპარაკის დროს დილით, ლუბემ სურვილი განაცხადა, რომ ჩქარა დასრულდეს კრიზისიო. ჰფიქრობენ, რომ პრეზიდენტი დღესვე მიიწვევს პუანკარეს, რათა კაბინეტის შედგენა მიანდოს მას.

---

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1899 წლის მაისის თვის განმავლობაში.

1, საწევრო ფული.

კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილისაგან . . . . . . 6 მ.
2, თ. იასონ დავითის ძე ციციშვილისაგან . . . . . . . . 6 მ.
3, გიორგი იაკოფის ძე ცერცვაძისაგან . . . . . . . . 6 მ.
4, ეკატერინე დავითის ასულის წულუკიძისაგან 1897—1898 წლების ანგარიშში . . . . . . . . 8 მ.
5, პარმენ ჯავროვისაგან . . . 6 მ.
6, ათანასე თევდორეს ძის ჯვარიშვილისაგან . . . . . . 6 მ.
7, ვლადიმერ ბექანის ძის ლორთქიფანიძისაგან (ნაწილი) . . . . 3 მ.

41 მ.

2, ყულაბებით შეგროვილი ფული

1, კნ. ანნა ნიკოლოზის ასულის ბეგთაბეგოვისაგან . . 18—37 კ.
2, ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილისაგან . . . . . 18—52 კ.
3, ბარბარე ივანეს ასულის კვირკველიასაგან . . . . . 84—57 კ.
4, ეკატერინე ნიკოლოზის ასულის შაიშმელოვისაგან . . 7—22 კ.

128 მ. 68 კ.

3, შემოწირულება ფულად.

ესტატე ჩხარტიშვილისაგან შეგროვილი ნადიმზედ პრელად საუბრის ჯარიმად . . . 3 მ. 30 კ.

4, შემოწირულობა ძველ ფულებად.

1, პავლე მოსულიშვილისაგან შვიდი ძველი ფული სპილენძისა.

2, ნიკო ლომაურისაგან ორი ქართული ფული.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთ „ცნობის ფურცელში", მე-804 №-ში, დაიბეჭდა წერილი სოფ. კარდანახიდგან, რომელშიაც ვიღაც ბ-ნი „ვინც უნდა ვიყო" უსამართლოდ და უსაფუძვლოდ ემდურება კარდანახის სამკითხველოს გამგეს კნ. ელ. აფხაზისას. აღნიშნავს-რა კარდანახის სამკითხველოს მშვენიერს მდგომარეობას, ხალხის აღტაცებას მის დაფუძნების პირველ ხანებში, ზემოხსენებული ბ-ნი ამბობს, რომ ამ მშვენიერმა მდგომარეობამ, ხალხის აღტაცებამ მხოლოდ რამდენსამე დღეს გასტანა, რადგანაც „ერთის კვირის შემდეგ დათხოვნილ იქმნა ერთი წევრთაგანი დანარჩენ წევრების დაუკითხავადაო" და იცით თურმე რისთვის? „იმიტომ, რომ რაღაც პირადი უსიამოვნობა მოსვლია პატივცემულ გამგესთანაო". ტყუილი და ამისთანა უსამართლო?! ვითომ და რაო, ბ-ნო „ვინც უნდა იყო"? ვითომ გინდათ ამ სიტყვებით ჩირქი მოსცხოთ პატივცემულს გამგეს და ქვეყანა დააჯეროთ, რომ მის გამგეობის ქვეშ მყოფი სამკითხველო უსარგებლო და ფუჭია? ტყუილად, ბ-ნო, ტყუილად. თუნდ „ცნობის ფურცლის" ოთხივე გვერდი გაავსეთ გოდებით და სიტყვების რახა-რუხით, მაინც ვერავის დააჯერებთ. ყველანი კარგად იცნობენ პატივცემულს ქ-ნს ელ. აფხაზისას და კარდანახის სამკითხველოს გარემოება ყველამ კარგად იცის.

დიაღ, ერთი წევრთაგანი დათხოვნილ იქმნა სასკითხველოს წევრობიდგან, მხოლოდ არა გამგის შურისძიებით, არამედ წევრთა მომეტებულ ნაწილის სურვილით, და ეს სრულიად უკანონო არ იყო, თუ წაგიკითხავთ, ბ-ნო, სამკითხველოს წესდება. ტყუილად ჰგოდებთ, ბ-ნო „ვინც უნდა იყო", რომ იმ წევრის დათხოვნით შეფერხდა სამკითხველოს წინმსვლელობა და „მისი მშვენიერი შეხედულობა", იმისთვის, რომ იმის შემდეგ უფრო გაძლიერდა, გამშვენიერდა და მომეტებული წევრნი შეიძინა სამკითხველომ.

ბ-ნ „ვინც უნდა ვიყო"-ს სიტყვით, ეს გარემოება უყურადღებოდ დარჩა (თუმცა ძიკვირს, რატომ არ წაუკითხავს, რა დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია ამ გარემოებამ საზღვარ-გარეთელ გაზეთებში) და სამკითხველომ კიდევ დაიწყო კარგა ხნობით(?) მშვენიერი მსვლელობა, თუ აქ ბოლოს დროს არ გამოსულიყო ხელ-ახალი უსიამოვნობა ისევ იმ დათხოვნილ წევრის გამო. სწორედ მოგახსენებთ, რა გარემოება იყო ეს, რომელზედაც ავტორი ლაპარაკობს, არ ვიცი, მხოლოდ დაგარწმუნებთ, რომ იგი გარემოება ჭორად მოგონილია და სამკითხველოს ფრჩხილიც არ შესტოკებია. საინტერესოა ვიცოდეთ, რა უსიამოვნება მოუვიდა სამკითხველოს გამგეს განდევნილ წევრთან, რომ ამისთანა ზეგავლენა იქონია სამკითხველოზედ? არ შეიძლება ბძანოთ?

ამასაც ხომ არ გვაკმარებს ავტორი, გვიქადის: „თუ სისასტიკე და სიწმინდე დავიცევით, ბიბლიოთეკა-საკითხველოსაც ხალხს შემოვაცანტებთ და დავრჩებით მარტო ურგები სამკითხველოთიო"-ო. ეს-კი მეტი მოგივიდათ... ამისთანა წმინდა აზრი, სჯობდა, თქვენს გულში დაგემარხათ და საქვეყნოდ არ გამოგეაშკარავებინათ.

კარდენახის სამკითხველო ისეთ მშვენიერს მდგომარეობაშია და ძისი გამგე ისე კარგად განაგებს მისს საქმეებს, რომ რამდენიც უნდა ჭორი მოიგონოთ, არავინ დაიჯერებს.

სიმართლის მოყვარე


# განცხადებანი

სასწავლებელი—პანსიონი

**ნ. დიდებულიძისა**

იღებს ყმაწვილებს მოსამზადებლად აქვე, ან უ, სურვილისამებრ, საზაფხულო სახლში. იკითხეთ: მიხაილოვის ქუჩა № 129. (3—77—1)

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 2 го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე